ტელეკომპანია იმედის თვითრეგულირების ორგანოს

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი მალხაზ რეხვიაშვილი

მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ. 189, სართული 3

საჩივარი

მოგმართავთ საჩივრით, რათა განიხილოთ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემაში „იმედის კვირა“ გასული სიუჟეტი ფაქტ-მეტრის შესახებ. მივიჩნევთ, რომ სიუჟეტი არღვევდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლებს.

ფაქტობრივი გარემოებები:

18 სექტემბერს, „იმედის“ ეთერში, გადაცემაში „იმედის კვირა“[1] სიუჟეტი გავიდა,[2] რომელიც „ფაქტ-მეტრის“ შესახებ ფაქტობრივად არაზუსტ პირდაპირ და ირიბ ბრალდებებს შეიცავდა. სიუჟეტი ეთერში დაახლოებით 20:12 საათიდან იწყება (მოცემულ ბმულზე 07:37, ასევე იხილეთ ფეისბუქზე ცალკე გამოქვეყნებული სიუჟეტის ბმული).

- სიუჟეტში გაჟღერებულია რუსული ფულის შესახებ ბრალდება - თითქოს ელენე ხოშტარია თავის დაფუძნებულ ორგანიზაციაში ხარჯავს თავისი რუსული შემოსავლის ნაწილს. აღნიშნული მტკიცება სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენთან საუბარში ჟურნალისტს აღნიშნულ საკითხზე კითხვა არ დაუსვამს. ამასთან, მოცემული უსაფუძვლო ბრალდება გაჟღერებულია არა რომელიმე რესპოდენტის მიერ, არამედ თავად ჟურნალისტის მხრიდან.

- ამასთან, მთელი სიუჟეტის განმავლობაში მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის მიბმა ოპოზიციურ პარტიებთან და სიუჟეტის ცენტრში „ფაქტ-მეტრის“ ყოფნით,

[1] https://www.imedi.ge/ge/video/106732/imedis-kvira--18-seqtemberi-2022-tseli#!?type=1&page=1
[2] https://www.facebook.com/watch/?v=5750330021656916&extid=CL-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C&ref=sharing

ჟურნალისტი „ფაქტ-მეტრსაც“ უკავშირებს პოლიტიკურ საქმიანობას. მათ შორის, გამოყენებულ გადაფარვებში გაჟღერებულ მოთხოვნას მთავრობის გადადგომის შესახებ. აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება.

- „ფაქტ-მეტრს“ არ მისცემია საშუალება ეპასუხა დეპუტატ ალექსანდრე რაქვიაშვილის ბრალდებისთვის და არც ჟურნალისტს მიუწოდებია ინფორმაცია მაყურებლისთვის, რომელ სტატიასთან დაკავშირებით საუბრობს პოლიტიკოსი და რა არგუმენტები ჰქონდა „ფაქტ-მეტრს“.

- სიმართლეს არ შეესაბამება სიუჟეტში საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ცაგარეიშვილის მიერ გაჟღერებული ბრალდებები, რომელთა შესახებაც ჟურნალისტს ჩვენთვის კითხვა არ დაუსვამს და პასუხის გაცემის საშუალება არ მოუცია.

სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, „ფაქტ-მეტრმა“ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართა მაუწყებელს ეთერში გასული ფაქტობრივად არაზუსტი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით უარყოფის თხოვნით. ამასთან, ტელეფონით ესაუბრა სიუჟეტის ავტორ ჟურნალისტსა და გადაცემის პროდიუსერს.

გადაცემის პროდიუსერთან ბოლო საუბარი შედგა 2022 წლის 31 ოქტომბერს. ქალბატონი ნინო ჯაფარიძე „ფაქტ-მეტრის“ რედაქტორთან საუბარში აცხადებს, რომ გადაცემის გუნდმა განიხილა „ფაქტ-მეტრის“ წერილი და არ მიიჩნია, რომ საჭიროა რაიმე რეაგირება, ვინაიდან არ დარღვეულა ინფორმაციის სიზუსტის ვალდებულება და სიუჟეტში ჟურნალისტს თავისი აზრის დაფიქსირების უფლება აქვს.

სამართლებრივი დასაბუთება

მიმაჩნია, რომ ეთერში გასული სიუჟეტი არღვევს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის[3] რამდენიმე მუხლს. ვინაიდან, სიუჟეტში გაჟღერებული რამდენიმე საკითხიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის სხვადასხვა მუხლი დაირღვა, განვიხილავ თითოეულ ეპიზოდს.

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0

ბრალდება პოლიტიკოსის მხრიდან დაფინანსების მიღებაზე

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ჯეროვანი სიზუსტე და ამის უზრუნველყოფისთვის მე-13 მუხლით კონკრეტული პირობებია წაყენებული. მე-12 მუხლის მიხედვით: *„ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიეწოდება მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით.“* მე-13 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები კი ამ სიზუსტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ მოთხოვნებს უწესებს მაუწყებელს. ამ მოთხოვნებშია ვალდებულება, რომ მაუწყებელმა არ უნდა დაუშვას შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება, ხოლო მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომის შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი საშუალებით - ღიად და დაუყოვნებლივ. სიუჟეტში ჟურნალისტი სვამს კითხვას: „ხოშტარიების მრავალმილიონიანი რუსული შემოსავლიდან, რამდენი დახარჯა პოლიტიკოსმა მის მიერ დაარსებულ არასამთავრობო სექტორში?“ მოცემული ფორმულირებით ჟურნალისტი „ფაქტ-მეტრის“ მიმართ აჟღერებს ბრალდებას, თითქოს „ფაქტ-მეტრის“ დაფინანსებაში პოლიტიკოსიც იღებს მონაწილეობას. კითხვა კი ამ თანხის ოდენობასთან დაკავშირებითაა დასმული, ხოლო თანხის აღების ნაწილი - ფაქტად არის წარმოჩენილი. გარდა იმისა, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება, ის არ წარმოადგენს ჟურნალისტის მოსაზრებას, მიწოდებულია როგორც ფაქტი და სიუჟეტის მომზადებისას, „ფაქტ-მეტრის“ მთავარ რედაქტორთან ინტერვიუს დროს, ჟურნალისტს ამ საკითხზე კითხვა არ დაუსვამს - შესაბამისად, აღნიშნულ ბრალდებაზე პასუხის საშუალება არ მოუცია. იხილეთ ინტერვიუს უწყვეტი ჩანაწერი.[4] ამგვარად, სიუჟეტის მომზადებისას დაირღვა მაუწყებლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთან, მნიშვნელოვანია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევაც. ამასთან, მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განმარტებულია, რომ თანაბარი დროის დათმობა, არ გულისხმობს მიუკერძოებლობას და მიუკერძოებლობის დასაცავად ყველა მოსაზრების სათანადოდ წარმოჩენა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ პროგრამა ან სიუჟეტი არ მოიცავს *„ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს“,* მაშინ პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება.

ამრიგად, ფაქტის სახით გაჟღერებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მასზე პასუხის გაცემის საშუალების მიცემის გარეშე, რასაც სიუჟეტის მომზადებისას ჩვენ შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი, არღვევს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიუკერძოებლობის პრინციპს და ამ პრინციპის უზრუნველყოფისთვის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მოცემული მუხლების დარღვევით, ვფიქრობთ, რომ დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-19 და მე-20 მუხლებიც სამართლიანი მოპყრობის შესახებ, ვინაიდან მე-20 მუხლის მერვე და

[4] https://www.facebook.com/Factcheck.ge/videos/836077044502646

მეცხრე პუნქტების მიხედვით, სამართლიანი მოპყრობის უზრუნველსაყოფად დადგენილია წესი, რომ *„პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება“* და *„მაუწყებელმა დეტალურად უნდა აღწეროს ბრალდებები სათანადო პასუხის მიღების უზრუნველსაყოფად. პასუხი უნდა გაშუქდეს სამართლიანად, ზუსტად და გადაიცეს იმავე პროგრამით.“* სწორედ ამ წესთან შესაბამისად, სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, „ფაქტ-მეტრმა“ მიმართა გადაცემის გუნდს შეცდომის გასწორების თხოვნით. ხანგრძლივი კომუნიკაციის შედეგად, პასუხად მივიღეთ, რომ გადაცემაში არ მიიჩნევენ, რომ რაიმე დაირღვა და შემდგომი რეაგირების საჭიროებას ვერ ხედავენ. აღნიშნული პასუხი მივიღეთ ქალბატონ ნინო ჯაფარიძესთან ბოლო კომუნიკაციის შედეგად - 31 ოქტომბერს.

დეპუტატ გია ცაგარეიშვილის ბრალდება

სიუჟეტში გაჟღერებულია დეპუტატ გია ცაგარეიშვილის ბრალდება ფაქტ-მეტრის მიმართ. ის „ფაქტ-მეტრს“ ყალბი ამბების გავრცელებასა და პოლარიზაციის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. რის მაგალითადაც გია ცაგარეიშვილი აცხადებს: *„მაგალითად შეიძლება დაბრალონ მინისტრს, რომ ის იყო ვლადიკავკაზში და ამის ტირაჟირება მოახდინონ“.*

მოცემულ ნაწილში დარღვეულია ჯეროვანი სიზუსტე, ვინაიდან გაუგებარია, ეს ბრალდება მიემართება პოლიტიკურ ოპოზიციას, სხვადასხვა მედიას თუ „ფაქტ-მეტრს“. კომენტარის დასაწყისში გია ცაგარეიშვილი სწორედ „ფაქტ-მეტრზე“ საუბრობს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს „ფაქტ-მეტრი“, სოსო გოგაშვილის (სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე) მიერ გაჟღერებული ბრალდების ტირაჟირებას ახდენს. ამასთან, მოცემულ ნაწილში უგულებელყოფილია მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი, სადაც პირდაპირაა მითითება, რომ *„მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიუკერძოებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად.”* ამრიგად, პოლიტიკოსის მხრიდან გამოთქმული ბრალდების პასუხის საშუალება ან/და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სიზუსტის უზრუნველსაყოფად, შეიძლება ითქვას, პირდაპირი ვალდებულებაა, რომელსაც მაუწყებლის ქცევის კოდექსი მაუწყებელს უყენებს. „ფაქტ-მეტრის“ მთავარ რედაქტორთან უწყვეტი საუბრის ჩანაწერით დასტურდება, რომ არც ამ საკითხზე სიუჟეტის ავტორს ჩემთვის კითხვა არ დაუსვამს.

დეპუტატ ალექსანდრე რაქვიაშვილის ბრალდება

ალექსანდრე რაქვიაშვილი „ფაქტ-მეტრის“ მისამართით აჟღერებს ფრაზას: „შავზე თეთრს მიმტკიცებდნენ“ და განიხილავს „ფაქტ-მეტრის“ მიერ მისი ერთ-ერთი განცხადების გადასამოწმებლად მომზადებულ სტატიას.

სიუჟეტის მოცემულ ნაწილში ირღვევა მაუწყებლის ვალდებულება მიუკერძოებლობის შესახებ. როგორც კოდექსი განმარტავს და ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ როდესაც მხარე რაიმე ბრალდებას აჟღერებს, მნიშვნელოვანია მისი პოზიციის და მიკერძოებულობის მხედველობაში მიღება. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსი საუბრობს „ფაქტ-მეტრის“ მიერ მომზადებულ სტატიაზე, [5] რომელშიც „ფაქტ-მეტრმა“ მისი განცხადება შეაფასა ვერდიქტით ტყუილი. ბუნებრივია, პოლიტიკოსი ამ შემთხვევაში მხარეა და მისი მიუკერძოებლობა „ფაქტ-მეტრის“ კრიტიკისას ჟურნალისტს კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დაეყენებინა. როგორც სრული ჩანაწერიდანაც ჩანს, ჟურნალისტს ამ საკითხზე რედაქტორთან საუბრისას კითხვა არ დაუსვამს და, შესაბამისად, არც ამ შემთხვევაში მოგვცემია პასუხის გაცემის საშუალება. მეტიც, არც ჟურნალისტს უცდია სიუჟეტში, თუნდაც მთავარ რედაქტორთან ამ საკითხზე კომუნიკაციის გარეშე, სტატიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, თუ რით იყო გამოწვეული ის ვერდიქტი, რომლითად „ფაქტ-მეტრმა“ ალექსანდრე რაქვიაშვილის განცხადება შეაფასა.

გარდა ზემოთ მოყვანილი ეპიზოდებისა, მთლიანი სიუჟეტი ცდილობს „ფაქტ-მეტრი“ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან კავშირში „ამხილოს“, დაუკავშიროს სხვადასხვა პოლიტიკოსს თუ სხვადასხვა ჯგუფს, რითაც, საბოლოო ჯამში, ხდება ჩემი, როგორც მთავარი რედაქტორის, პერსონალური დისკრედიტაცია და მელახება საქმიანი რეპუტაცია. ამგვარი არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელებით კი მაუწყებელი ახდენს როგორც ჩემი, ასევე „ფაქტ-მეტრის“ მიმართ უნდობლობის გაღვივებას. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოთხოვოს მაუწყებელს „საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის[6] 52-ე მუხლით დადგენილი წესით.“ სწორედ ამ ჩანაწერის საფუძველზე, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და მაუწყებლობის კანონის მიხედვით, სიუჟეტის გასვლის შემდეგ დადგენილი ვადის დარღვევის გარეშე, მივმართეთ მაუწყებელს.

„ფაქტ-მეტრი“ მიიჩნევს, რომ მოცემულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-12 (ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი), მე-13 (ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის წაყენებული მოთხოვნები), მე-14 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის), მე-15 (მიუკერძოებლობის პრინციპი), მე-16, მე-18 (სახელმძღვანელო რეკომენდაციები ახალი ამბების და საინფორმაციო პროგრამების გადაცემისას მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის), მე-19 (სამართლიანი მოპყრობის პრინციპი) და მე-20 (პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)) მუხლები.

[5] https://cutt.ly/8NYexeV
[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=63

აღნიშნულიდან გამომდინარე, გვსურს მივმართოთ შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების საბჭოს გადაცემა „იმედის კვირაში“ 18 სექტემბერს გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით. გთხოვთ შეისწავლოთ წინამდებარე საჩივარი და დაადგინოთ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი მუხლების დარღვევა.

პატივისცემით,

მალხაზ რეხვიაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

+995 322 22 29 13 E-mail: info@factcheck.ge 189 aghmashenebeli Ave., str, 0112, Tbilisi, Georgia